პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

1975 წ.
№ 19 (5309)
28 იანვარი, შაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ინტერვიუ ტელეფონით

6 ქულა 6-დან!

ვეიკ ან ზეეში (ჰოლანდია) გრძელდება ქალთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, რომელშიც მსოფლიო ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილიც მონაწილეობს. გუშინ ჩვენი კორესპონდენტი ა. ჭიჭინაძე ტელეფონით დაუკავშირდა ვეიკ ან ზეეში ნ. გაფრინდაშვილს და ესაუბრა მას.

— გათამაშდა V და VI ტურები, — თქვა ნონამ. — V ტურში მე ჰოლანდიელ ბელეს შევხვდი. უფიმცევის დაცვით ორიგინალური პოზიცია მივიღე, ბელეს პაიკთა დასუსტებას მივაღწიე, და როცა თამაში პაიკთა ენდშპილში გადავიყვანე, უპირატესობაც მოვიპოვე. იგი მოგებისთვის საკმარისი აღმოჩნდა

უნგრელმა ივანკამ ვერ დაძლია ვრეკენის (ჰოლანდია) წინააღმდეგობა და ყაიმს დასჯერდა.

სხვა შეხვედრებიდან აღსანიშნავია ვერეცის (უნგრეთი). წაგება ტეოდორესკუსთან (რუმინეთი). გეორგიევამ (ბულგარეთი) მოუგო პოდრაჟანსკაიას (ისრაელი), ვან დერ მიიე-ნიკოლაუმ — ვან დერ გისენს (ორივე — ჰოლანდია), პიხაილიჩმა (იუგოსლავია) — ბიუკმიულერს (გფრ).

VI ტურში ივანკა და ვერეცი შეხვდნენ ერთმანეთს. ვერეცის მოგების დიდი შანსი ჰქონდა, მაგრამ ივანკამ შეუპოვარი დაცვით ყაიმს მიაღწია. ყაიმით დამთავრდა, აგრეთვე, პოდრაჟანსკაია — ვრეკენის, პიხაილიჩ — ტეოდორესკუს და გეორგიევა — ვან დერ გისენის შეხვედრები.

მე მოვუგე ბიუკმიულერს, ვან დერ მიიე-ნიკოლაუმ — ბელეს. სხვათა შორის, ვან დერ მიიე-ნიკოლაუმ წააგო გეორგიევასთან IV ტურიდან გადადებული პარტია.

6 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში ვართ: მე — 6 ქულა, ივანკა — 5, ვრეკენი — 4, ვანდერ მიიე-ნიკოლაუ, გეორგიევა, ვერეცი და პიხაილიჩი — 3,5-3,5.

კვირას დასვენების დღე გვქონდა, 27 იანვარს კი VII ტურს გავითამაშებთ. ამჯერად ჩემი მეტოქე რუმინეთის ჩემპიონი ტეოდორესკუ იქნება.

როგორც იცით, ბევერვეიკში ვაჟთა ორი დიდი საერთაშორისო ტურნირი მიმდინარეობს. დიდოსტატთა შეჯიბრებაში ლიდერობენ უნგრელი პორტიში და ჩეხოსლოვაკიელი ჰორტი, ოსტატთა ტურნირში — მოსკოველი ოსტატი მარკ დვორეცკი.

ახალი ამბები

ქრაისტჩერჩი, 26 იანვარი. ახალი ზელანდიის ამ ქალაქში „დაიბადა" ძალოსანთა წლევანდელი პირველი მსოფლიო რეკორდი. იგი დაამყარა საბჭოთა სპორტსმენმა, 27 წლის შახტელმა დ. რიგერტმა, მისთვის უჩვეულო წონაში — საშუალოში.

რიგერტმა დაიბრუნა ორი წლის წინათ დაკარგული რეკორდი ატაცში. მისი მაჩვენებელი — 165 კგ, 1,5 კგ-ით სჯობს მოსკოველი ვ. რიჟენკოვის რეკორდს, რომელიც დამყარებული იყო ევროპის 1974 წლის პირველობაში იტალიის ქალაქ ვერონაში.

ახლა რიგერტს ოთხი მსოფლიო მიღწევა ეკუთვნის. ეს თავისებური რეკორდია რეკორდთა შორის. საერთოდ კი რიგერტს ოცდაათზე მეტი მსოფლიო მიღწევა აქვს დამყარებული.

ქრაისტჩერჩი, 26 იანვარი. 16 წლის ავსტრალიელმა მოცურავემ ს. ჰოლანდმა ახალი ზელანდიის I ეროვნულ თამაშებზე გამგზავრების წინ განაცხადა, მსოფლიო რეკორდის დაუმყარებლად შინ არ დავბრუნდებიო.

სპორტსმენმა სიტყვა შეასრულა: 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 15.27,79, გზად კი 0,2 წამით გააუმჯობესა თავისივე მსოფლიო მიღწევა 800 მეტრზე ცურვაში — 8.15,0 აჩვენა.

მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩი

● ●

პარტია გადატანილია

მოსკოვი, 26 იანვარი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). დღეს აქ გამოცხადდა, რომ ი. ლევიტინა ავადაა და „ტაიმ-აუტი" აიღო. ამიტომ პრეტენდენტთა ფინალურ მატჩში ნ. ალექსანდრიასა და ი. ლევიტინას შორის IV პარტია არ შედგა. ეს პარტია 28 იანვარს გაიმართება.

გოლუბნიჩი — კონკურსის ლაურეატი

ციურიხი, 25 იანვარი. როგორც შვეიცარიის გაზეთი „შპორტი" იუწყება, ცნობილი საბჭოთა მძლეოსანი, სპორტული სიარულის ოსტატი ვ. გოლუბნიჩი (სუმი) 1974 წლის შედეგების მიხედვით დასახელებულია საუკეთესო „მოსიარულედ" კონკურსში, რომელიც გაზეთმა „რანერ უორლდმა" (აშშ) ჩაატარა.

კონკურსის სხვა ლაურეატებს შორის არიან ამერიკელი მორბენალი რიკ უოლპატერი და სახელგანთქმული პოლონელი მძლეოსანი ირენა შევინსკა.

სსრ კავშირის ჩემპიონატი

გამარჯვებისთვის ესეც საკმარისი იყო

გაიმართა მორიგი ტურის მატჩები.

კიევი. კაუნასის „ჟალგირისმა" ძალური მარცხის შემდეგ ენერგიულად ჩაატარა განმეორებითი შეხვედრა ადგილობრივ „სტროიტელთან". ლიტველმა კალათბურთელებმა ტაიმი 3 ქულით მოიგეს — 49:46. ინიციატივას ისინი შესვენების შემდეგაც ფლობდნენ, თუმცა რამდენადმე მნიშვნელოვან უპირატესობას ვერ მიაღწიეს. მაგრამ 6-ქულიანი სხვაობა სავსებით საკმარისი აღმოჩნდა გამარჯვებისთვის. „ჟალგირისმა" ქულა აიღო — 98:92.

ლენინგრადი. ჩემპიონატის ლიდერმა, „სპარტაკმა" ერთ-ერთი აუტსაიდერი — ვილნიუსის „სტატიბა" მიიღო. პირველი შეხვედრის ბედი შესვენებამდე გადაწყდა. ლენინგრადელებმა ტაიმი მოიგეს ანგარიშით 41:28. მეორე ნახევარში ლიდერმა შეინარჩუნა უპირატესობა და გაიმარჯვა — 87:63.

ძალთა შეფარდება არც მეორე შეხვედრას შეუცვლია. „სპარტაკმა" კვლავ გაიმარჯვა, ოღონდ უფრო დიდი სხვაობით — 108:72.

მოსკოვი. პირველი მატჩი ჩაატარეს ადგილობრივმა არმიელებმა და ტარტუს „კალევმა". გამარჯვება ცსკა-ს ხვდა 93:72.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 27 იანვრისთვის

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტ."	22	19	3	1878—1528	19
ცსკა	21	17	4	1993—1726	17
„დ." (თბ.)	18	15	3	1551—1474	15
„დ." (მ.)	20	13	7	1705—1574	13
„ჟალგირ."	20	10	10	1677—1742	10
„კალევი"	19	7	12	1545—1552	7
„სტროიტ."	20	7	13	1760—1699	7
რტი	22	6	16	1792—1968	6
„სტატიბა"	22	5	17	1703—1970	5
„ურალმაში"	18	2	16	1462—1733	2

სხვა სპორტი

„დინამოს" დღევანდელი დღე და პრობლემები

დღეს კიევის სპორტის სასახლეში თბილისის „დინამო" კიევის „სტროიტელს" შეხვდება. ეს იქნება წლევანდელი საკავშირო ჩემპიონატის მესამე მატჩი ამ გუნდებს შორის. თბილისში გამართული ორი პირველი შეხვედრა დინამოელებმა მოიგეს (82:72 და 81:75).

თბილისელი კალათბურთელები დიდი სერიოზულობით მოეკიდნენ ამ შეხვედრებს და გულმოდგინედ ემზადებოდნენ შინ. სამწუხაროდ, კიევში ვერ ითამაშებს თბილისელთა ერთ-ერთი ცენტრალური თავდამსხმელი ბ. ბოლქვაძე. იგი დაშავებულია. ამიტომ ახლავე შეიძლება ითქვას, რომ „სტროიტელმა" ჯერ კიდევ მოედანზე გასვლამდე მიიღო გარკვეული უპირატესობა სიმაღლეში.

თბილისის „დინამო" დღეს ყველაზე „ტანმორჩილი გუნდია" ჩემპიონატის მონაწილე სხვა 9 კოლექტივს შორის. მის შემადგენლობაში თამაშობს მხოლოდ ორი კალათბურთელი, რომელთა სიმაღლეც 200 სანტიმეტრია (ი. ძიძიგური და გ. ბიჭიაშვილი). რაც შეეხება „სტროიტელს", იქ თამაშობენ საკმაოდ ტანმაღალი კალათბურთელები: ა. ზდრაკი (200 სმ), პ. ლუშნენკო (205 სმ), ი. ზაზიმკო (207 სმ), ს. კოვალენკო (215 სმ) და ვ. ტკაჩენკო (215 სმ). როგორც ხედავთ, დინამოელებს სხვა პრობლემებთან ერთად გადასაწყვეტი ექნებათ სიმაღლეს პრობლემა, რომელმაც, ადვილი შესაძლებელია, გადამწყვეტი როლი ითამაშოს. თუმცა, თბილისელებმა ამ ჩემპიონატში უკვე არაერთხელ გადაჭრეს წარმატებით მსგავსი ამოცანა (ბოლქვაძითაც და უბოლქვაძეოდაც).

„დინამო" წლეულს დიდი აღმავლობით თამაშობს და ჯერჯერობით ჩემპიონატის პოტენციურ ლიდერად ითვლება. მან მხოლოდ 3 შეხვედრა წააგო, 15 მატჩი მოიგო და სატურნირო ცხრილში III ადგილზეა.

დინამოელებმა ჩემპიონატის თვრამეტ მატჩში „გაიტანეს" 1551 ქულა და „მიიღეს" — 1474. ამ მაჩვენებლებით მათ ბევრი კოლექტივი უსწრებს, მაგრამ ჩვენი გუნდი არასდროს ისწრაფვის დიდი სხვაობით გამარჯვებისკენ. ეს, როგორც ჩანს, მას არ ახასიათებს, ბურთების ბალანსი კი ზოგჯერ გადამწყვეტ როლს თამაშობს ადგილების განაწილებაში.

ვის რა წვლილი მიუძღვის იმ 1551 ქულაში, რომლებიც „დინამოს" აქტივში უწერია? აქ მხედველობაშია მისაღები, რომ ყველა მოთამაშე თანაბარ დროს არ ატარებს მოედანზე.

მ. ქორქია — 389 ქულა
თ. ჩიხლაძე — 228
გ. ბიჭიაშვილი — 219
ი. პულავსკი — 175
ი. ძიძიგური — 138
ზ. ქარაბაკი — 135
ზ. საკანდელიძე — 74
ბ. ბოლქვაძე — 69
ლ. ჩხიკვაძე — 49
ნ. ქორქია — 36
ვ. ჯგერენაია — 23
თ. ფიცხელაური — 10
ი. ნარიმანიძე — 6
დ. მაღალთაძე — 2

„ლელოს" მიმომხილველი.

კიდევ ერთი საშუალედო ფინიში

მოსკოვი, 26 იანვარი. გუშინ დამთავრდა უმაღლესი ლიგის ქალთა საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის პირველი ტურის მატჩები მოსკოვის ჯგუფის გუნდებისთვის.

ყურადღების ცენტრში იყო რიგის ტტტ-ს და სვერდლოვსკის „ურალმაშის" შეხვედრა. საინტერესო ბრძოლა ლატვიელმა კალათბურთელებმა მოიგეს — 70:57 (37:21).

დაძაბული ბრძოლით აღინიშნა ვილნიუსის „კიბირკშტისის" შეხვედრა ფრუნზეს „სტროიტელთან". პირველმა ტაიმმა უძლიერესი ვერ გამოავლინა — 32:32. ბრძოლა შესვენების შემდეგაც უაღრესად დაძაბული იყო. გამარჯვება ფრუნზელებს დარჩათ — 63:62.

მოსკოვის „დინამომ" მოუგო დნეპროპეტროვსკის „სტალს" — 75:47 (43:26).

აი, როგორ განაწილდა ადგილები ამ ჯგუფში:

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
ტტტ	16	16	0	1221—869	16
„ურალ."	16	10	6	1062—968	10
„დ." (მ.)	16	9	7	1076—971	9
„კიბირ."	16	9	7	1059—1033	9
„სტროიტ."	16	3	13	922—1176	3
„სტალი"	16	1	15	977—1300	1

ახლა კი გთავაზობთ ნაკრებ ცხრილს, რომელშიც განაწილებულია თორმეტივე ადგილი.

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
ტტტ	16	16	0	1221—869	16
„სპარტაკი" (ლ.)	16	14	2	1250—1001	14
„სპარტაკი" (მ. ოლქ.)	16	12	4	1263—1046	12
„ურალ."	16	10	6	1062—968	10
„დ." (მ.)	16	9	7	1076—971	9
„კიბირ."	16	9	7	1059—1033	9
„უნივერ."	16	9	7	1073—1101	9
ფისკ	16	7	9	903—1040	7
„დ." (კ.)	16	4	12	1114—1215	4
„სტროიტ."	16	3	13	922—1176	3
„ბურ."	16	2	14	944—1144	2
„სტალი"	16	1	15	977—1300	1

სხვა ქვეყნებში

● **სანქტ-მორიცი, 24 იანვარი.** აქ გაიმართა შვეიცარიის „ოთხი ტრამპლინის ტურნეს" მესამე ეტაპი. როგორც ჩანს, იაპონელ „მფრინავ მოთხილამურეს" ხ. იტაგაკის გაუტკბა მეორე ეტაპის მოგება: ამჯერადაც ყველას აჯობა. მისი შედეგია 260,0 ქულა (ნახტომები — 89 და 90 მ). II ადგილზეა ნორვეგიელი ი. სეტრე— 253,0 (90 და 89), III — ავსტრიელი ა. ინაუერი — 250,5 (88 და 88,5). საბჭოთა სპორტსმენთაგან საუკეთესო იყო ს. სუსლიკოვი — VI ადგილი, 240,7 ქულა (ნახტომები — 86 და 85 მ). სამი ეტაპის შემდეგ დამაჯერებლად ლიდერობს იტაგაკი — 716,9 ქულა. II ადგილზეა სეტრე — 701,0. მესამეა შვეიცარიელი ხ. შმიდი (688,3), რომელმაც აქ გამართულ შეჯიბრებაში IV ადგილი დაიკავა.

● **ტორნიო, 25 იანვარი.** ფინეთის ამ ქალაქში გათამაშდა ბურთიან ჰოკეიში მსოფლიო ჩემპიონატის პირველი დღის კალენდარული მატჩი: სსრ კავშირი — შვეცია. გაიმარჯვეს შვედებმა — 3:1.

საჭის ოსტატობა

თანაქალაქელთა დუელი

25 იანვარს ავტოსპორტის ოსტატთა საკავშირო ჩემპიონატის ფინალში, რომელიც მოსკოვის იპოდრომზე მოეწყო, ორსაათიანი ბრძოლის შემდეგ ყველაზე მეტი ქულა (17-17) დააგროვეს ტოლიატელმა სპორტსმენებმა ა. კოზირჩიკოვმა და გ. ივანოვმა. მაგრამ ოქროს მედალი გადაეცა კოზირჩიკოვს, ვინაიდან მან ორი სერია მოიგო, ივანოვმა კი — მხოლოდ ერთი.

საიპოდრომო რბოლებში ქვეყნის ექვსი ქალაქის 18 სპორტსმენი მონაწილეობდა. ისინი სარბიელზე გამოვიდნენ სპეციალურად მომზადებული მანქანებით: „ჟიგულებით", „მოსკვიჩებითა" და „ვოლგებით". ივანოვი უკვე პირველი სერიის შემდეგ დაწინაურდა და, იმევე როგორც მოსკოველმა ნ. კირპიჩნიკოვმა, 5 ქულა დააგროვა. მეორე სერიის შემდეგ ივანოვს ლიდერობაში „პარტნიორი" შეეცვალა — ახლა ეს პოსტი კოზირჩიკოვმა დაიკავა. მესამე სერიის შემდეგ ივანოვმა 13 ქულით ყველა მეტოქე ჩამოიტოვა.

ყველაფერი გადაწყვიტა ბოლო, მეოთხე სერიამ. ტრასა საუცხოოდ გაიარა კოზირჩიკოვმა. იგი ქულებით დაეწია თანაქალაქელს და I ადგილი დაიკავა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი რაიონის კონტრასტები

ჩვენი რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებს მახარაძის რაიონი ბევრ სპორტსმენს აძლევს. მარტო ის რად ღირს, რომ შარშან, ალმა-ათაში, მოსწავლეთა XIII საკავშირო სპარტაკიადაში 8 მახარაძელი სპორტსმენი მონაწილეობდა. მაგრამ ერთია სპორტულ სარბიელზე მოპოვებული ტიტულები და მეორე — მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდა სკოლებში.

რესპუბლიკის სპორტკომიტეტის მიერ შარშანდელი წლის დამლევს გამოყოფილი კომისიის წევრებს სწორედ ეს საკითხი გვაინტერესებდა. მაგრამ ვიდრე უშუალოდ კომისიის მუშაობაზე გადავიდოდეთ, ჯერ ჩვენი ბრიგადის წევრებს გაგაცნობთ: გ. გუგუშვილი (განათლების სამინისტრო), ა. რატია (ფიზკულტურის ინსტიტუტი), გ. კაკაურიძე (რესპუბლიკის სპორტკომიტეტი), თ. ქურიძე (საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი) და ამ სტრიქონების ავტორი.

მახარაძის რაიონში სულ 40 სკოლაა.

— ფიზკულტურასა და სპორტში მათგან ერთ-ერთი ყველაზე მოწინავეა მახარაძის მე-4 რუსული საშუალო სკოლა, რომლის 54 მოსწავლესაც უკვე აქვს მიღებული მშდ კომპლექსის სამკერდე ნიშანი. 910 მოსწავლიდან 426 ფიზკულტურელია. განსაკუთრებით პოპულარულია მძლეოსნობის სექცია, სადაც 100 მოსწავლე ვარჯიშობს. რაც შეეხება სპორტულ მიღწევებს, მეოთხესკოლელები მოსწავლეთა სარაიონო სპარტაკიადის ჩემპიონები არიან. ამ სკოლის რამდენიმე მოსწავლე რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებშიც შედის, — გვითხრეს მახარაძეში.

მოწინავეებთან სტუმრად მისვლა მუდამ სასიამოვნოა და ასეთი დახასიათების შემდეგ ჩვენც პირველად ამ სკოლას ვესტუმრეთ. სამწუხაროდ, ამ სკოლაში მიღებული შთაბეჭდილებები მასპინძელთა ნათქვამს არ ემთხვევა. არა, სპორტული მიღწევების მხრივ მართლაც საუკეთესონი არიან რაიონში, დანარჩენი კი...

ფიზაღზრდის გაკვეთილს ვესწრებით VII კლასში.

— მშდ კომპლექსის ნორმატივები ჩააბარე? — ვეკითხებით ერთ-ერთ მოსწავლეს.

— მშდ რა არის? — შეკითხვას გვიბრუნებს გაკვირვებული გოგონა, მაგრამ ამ ფაქტით ჩვენ კიდევ უფრო გაოცებული ვართ. ამ კლასში არც სხვა მოსწავლეებმა იცოდნენ, რა არის მშდ. მაშ ნორმატივებს როგორღა ჩააბარებდნენ?

სხვათა შორის, სკოლაში ვერც სხვა კლასების მშდ კომპლექსის ნორმატივების (მთლიანად) ჩაბარების ოქმები გვიჩვენეს. არც გრაფიკი და კომისიის (თუმცა, სად იყო კომისია) სამუშაო გეგმა ჰქონდათ. ჰოდა, რაღა გასაკვირია, რომ ბავშვებმა არ იციან რა არის მშდ? ან საიდან ეცოდინებათ, როცა სკოლაში არ იყო კომპლექსის თვალსაჩინოება, ფიზკულტურული კედლის გაზეთი, სტენდები...

მაგრამ, მოდით, იმ გაკვეთილს დავუბრუნდეთ.

მოსწავლეებს ფორმები არ აცვიათ. სამწყობრო სიარულს გადიან, მაგრამ ეს სიარული თავჩაქინდრულ ტყვეთა გადაყვანას უფრო ჰგავს. მასწავლებლის ყოველ განკარგულებაზე ბავშვები ისე იბნევიან, თითქოს პირველად ასრულებენ ვარჯიშს (შთაბეჭდილება სწორედ ასეთია). არც გაკვეთილის მეორე ნაწილი დგას დამაკმაყოფილებელ დონეზე.

ამ სკოლაში ფიზაღზრდის სხვა გაკვეთილებსაც დავესწარით. მათს შესახებაც იგივე ითქმის. ფიზაღზრდის მასწავლებლებს რ. ცერცვაძესა და ვ. ბლიაძეს ყურადღება არ მიუქცევიათ კლასების მიხედვით ვარჯიშთა შესაბამისობისთვის. დაბალია გაკვეთილის გადაცემის და, ცხადია, მოსწავლეთა მიერ სასწავლო პროგრამის ათვისების დონეც.

„ლელოს“ ფურცლებზე ბევრი სპეციალისტი გამოეხმაურა მ. მჭედლიშვილის წერილს „იქნებ ასე სჯობდეს“. ქუთაისის მე-7 საშუალო სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელი ო. ცხადაძე წერდა: „ფიზაღზრდის ნასწავლებლის მუშაობაში ნაყოფს ბევრგან სპარტაკიადაში მოპოვებული შედეგებით განსაზღვრავენ, თუმცა მასწავლებელი გაკვეთილების კარგად ჩატარებით უნდა ფასდებოდეს. იმით, რომ მასწავლებლები მეტ ყურადღებას შეჯიბრებებში მონაწილეობას აქცევენ, პირველ ყოვლისა სწავლების ხარისხი ეცემა“.

ამ სიტყვებმა სწორედ მახარაძის მე-4 რუსული საშუალო სკოლა გაგვახსენა. აქ ფიზაღზრდის მასწავლებლები, ეტყობა, ყურადღებას მხოლოდ „ვარსკვლავებს“ აქცევენ...

ახლა ორიოდე სიტყვა ამ სკოლის სპორტულ ბაზებზეც ვთქვათ. სკოლას აქვს ერთი სპორტდარბაზი, ერთიც კალათბურთისა და ფრენბურთის კომპლექსური მოედანი. თვითონვე გაუკეთებიათ სხვადასხვა სიმაღლის სამი ორძელი, რაც მისაბაძია, რა თქმა უნდა.

კომისიის საერთო აზრით, ფიზკულტურელთა რიცხვი, რომელიც ჩვენ დაგვისახელს, სკოლის პირობებთან შედარებით, აშკარად გადაჭარბებულია. ამასთან, ამ ფიზკულტურელთა შესახებ არავითარი საბუთი არ არსებობს.

მე-4 რუსული საშუალო სკოლის შესახებ დაწვრილებით იმიტომ ვლაპარაკობთ, რომ იგი ყველაზე მოწინავეც (სპორტულ სარბიელზე) აღმოჩნდა და ყველაზე ჩამორჩენილიც (ფიზკულტურულ მუშაობაში).

აღსანიშნავია, რომ ამ სკოლის დირექტორი ვ. თავლიშვილი ძალიან ყურადღებიანი კაცი აღმოჩნდა.

— თქვენი ჩამოსვლის შემდეგ ფიზაღზრდის ბევრ „წვრილმან“ საკითხს ჩემთვის ნათელი მოეფინა და, სანამ თქვენი კომისია მახარაძის რაიონში მუშაობას დაამთავრებს, რისი გამოსწორებაც შესაძლებელი იქნება, გამოვასწორებთ, — გვითხრა მან.

დირექტორმა პირობა შეასრულა: სკოლაში გამოჩნდა ფიზკულტურელთა კედლის გაზეთი, მშდ კომპლექსის თვალსაჩინოება, ფოტოსტენდი.

მახარაძის პირველ საშუალო სკოლაში მისულთ, პირველ ყოვლისა, სიამაყით აჩვენებენ სკოლის ისტორიისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმს. ეტყვიან, რომ ამ სკოლის აღზრდილებიდან 4 საბჭოთა კავშირის გმირი და 9 სოციალისტური შრომის გმირი გახდა. ჩამოგითვლიან ამ სკოლაში აღზრდილ რესპუბლიკის მოწინავე ადამიანთა მთელს არმიას. არც ცნობილი სპორტსმენები ავიწყდებათ.

ჩვენც მუზეუმით დავიწყეთ სკოლის გაცნობა. პირველი შთაბეჭდილებები დიდი იყო. ეს შთაბეჭდილებები კიდევ უფრო გაიზარდა, როცა ფიზაღზრდის გაკვეთილები დაიწყო. სამწყობრო სიარული ჩინებული იყო. გაკვეთილის მეორე ნაწილი კი უფრო სუსტი აღმოჩნდა. მაგალითად, ძირითადი ნაწილი გაჭიანურებული იყო, დროს რაციონალურად ვერ იყენებდნენ. ვარჯიშში ერთდროულად მთელი ჯგუფი არ იყო ჩაბმული (ეს ნაკლი თითქმის ყველა სკოლას ახასიათებს. განსაკუთრებით კი ამ მხრივ სოფელ შემოქმედის საშუალო სკოლა გამოირჩევა).

მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარების ოქმები რომ მოვითხოვეთ, ფიზაღზრდის მასწავლებელმა ვ. კილაძემ იმდენი გატენილი საქაღალდე მოიტანა, რომ თვითონვე დაიბნა. საბოლოოდ კი ვერაფერი გვაჩვენა (საერთოდ, მახარაძის რაიონის თითქმის ყველა სკოლაში შეიმჩნევა დოკუმენტაციისადმი არასერიოზული დამოკიდებულება). ჰქონდათ მშდ-ს გრაფიკი, არ ჰყავდათ ნორმატივების მიმღები კომისია, თუმცა, სწავლა სამი თვის დაწყებული იყო.

მახარაძის მე-3 საშუალო სკოლას ყველაზე კარგი სპორტდარბაზი აქვს მთელს რაიონში. პირველი შთაბეჭდილებები აქაც საუცხოო იყო: მოვლილი სპორტდარბაზი, მშდ კომპლექსის თვალსაჩინოება, ფიზკულტურელთა კედლის გაზეთი, ამ სკოლის აღზრდილ მოწინავე სპორტსმენთა ფოტოსტენდი. ფიზაღზრდის გაკვეთილზე ყველა მოსწავლე ფორმით იყო მოსული. სამწუხაროდ, ფიზაღზრდის მასწავლებლები გ. ბოლქვაძე და ს. ქორჩილაძე ნაკლებ ყურადღებას აქცევენ სამწყობრო ვარჯიშების ხარისხიანად შესრულებას. უხარისხოდ სრულდება ზოგადგანმავითარებელი ვარჯიშებიც.

დავესწარით ამ სკოლის მოსწავლეთა კლასგარეშე მეცადინეობას. აქ დიდი მონდომება იგრძნობოდა. ეტყობა, ამ სკოლაშიც „ვარსკვლავები“ უფრო მეტად აინტერესებთ.

დაახლოებით ასეთივე მდგომარეობა იყო სოფელ ასკანის საშუალო სკოლაშიც. სხვათა შორის, აქ სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელმა ლ. ცქვიტინიძემ გულახდილად თქვა, კარგა ხანია ინსტიტუტი დავამთავრე, უკვე ხანში შევდივარ და ბევრი რამე ეე თვითონ დამავიწყდაო. ამ სიტყვებით მან ალბათ სხვების სათქმელიც გამოთქვა. ვფიქრობთ, ფიზაღზრდის მასწავლებლებისთვის სემინარის გამართვა ურიგო საქმე არ იქნება.

ნორჩები სპორტს პირველად ფიზაღზრდის გაკვეთილებით ეცნობიან. დაწყებითს კლასებში კი, როგორც წესი, ამ გაკვეთილებს არასპეციალისტები ატარებენ. ამ მხრივ არც მახარაძის რაიონია გამონაკლისი. მთელს რაიონში დაწყებითს კლასებში ფიზაღზრდის გაკვეთილები სათანადო დონეზე დგას მხოლოდ რვაწლიან სკოლა-ინტერნატსა და სოფელ ბახვის საშუალო სკოლაში (მასწავლებლები რ. მდინარაძე და ნ. ლომაძე).

მახარაძის რვაწლიანმა სკოლა-ინტერნატმა ყველაზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა არა მარტო დაწყებითს კლასებში ფიზაღზრდის გაკვეთილების ჩატარების დონით, არამედ საერთოდაც. ასეთივე შთაბეჭდილებით დავბრუნდით სოფელ ნასაკირალის საშუალო სკოლიდანაც. ამ სკოლების შესახებ უკვე ვუამბობთ ჩვენს მკითხველებს და ამიტომ ახლა მათზე აღარ შევჩერდებით.

მახარაძის რაიონში სულ 15 სკოლაში ვიყავით. ყველა მათგანზე დაწვრილებით საუბარი ბევრ დროსა და ადგილს წაგვართმევს. ამიტომ დღეს მხოლოდ ზოგადი დასკვნებით შემოვიფარგლებით (კრიტიკული შენიშვნები მეტ-ნაკლებად ყველას ეხება, გარდა მახარაძის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატისა და სოფელ ნასაკირალის საშუალო სკოლისა).

რაიონის სკოლებში IV-X კლასებში 10366 მოსწავლე სწავლობს. აქედან 6740 ფიზკულტურელია. არსებული სპორტული ბაზები გამტარიანობის მიხედვით ამ ციფრის მხოლოდ ერთ მესამედს თუ დააკმაყოფილებს. აშკარაა, 6740 ფიზკულტურელი მხოლოდ ქაღალდზე არსებობს.

საერთოდ, რაიონის სკოლებში სპორტული ბაზებისა და ინვენტარის მხრივ დიდი გაჭირვებაა. განსაკუთრებით ცუდ დღეში არიან სპორტსკოლის ჭიდაობისა და ძალოსნობის სექციები. პირდაპირ გაოცებული დავრჩით, რამდენად მძიმე პირობებში უხდებათ ამ სექციებს მუშაობა.

მოუგვარებელია მოსწავლეთა სამედიცინო მომსახურებაც. ზოგან საერთოდ არა ჰყავთ ექიმები. ძალიან დაბალ დონეზე დგას ფიზაღზრდის გაკვეთილების ტანვარჯიშული ნაწილი.

ფიზაღზრდისა და დაწყებითი კლასების მასწავლებლები ერთმანეთს არ ეხმარებიან. არ იგრძნობა კლასგარეშე მუშაობის ორგანიზატორთა როლი, მათი თაოსნობა.

მახარაძეში ჩვენი ჩასვლის პირველი დღე ფიზაღზრდის მასწავლებელთა მეთოდურ კრებას დაემთხვა. ამ შემთხვევით ვისარგებლეთ და ფიზაღზრდის მასწავლებლებს მივეცით სასწავლო, ფიზკულტურის კოლექტივებისა და მშდ კომპლექსის კომისიის სამუშაო გეგმები, სასწავლო პროგრამის მიხედვით შედგენილი „მოძრავ თამაშობათა“ წიგნები... ამის შემდეგ ერთმა ფიზაღზრდის მასწავლებელმა გვითხრა: კარგა ხანია ამ საქმეს ვემსახურები და ასეთი დიდი დახმარება ჩვენთვის ჯერ არავის გაუწევიაო.

როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია.

ა. ბურასაშვილი,
(ჩვენი სპეც. კორ.),
მახარაძე — თბილისი.

• • •

სურათებზე: ფიზაღზრდის გაკვეთილები მახარაძის რვაწლიან სკოლა-ინტერნატში.

ავტორის ფოტოები.

„ტრუდის“ დამკვრელური ძალა

სათხილამურო რბოლებში საბჭოთა კავშირის თასის გათამაშებაში გადამწყვეტი სიტყვა 15 კილომეტრზე მორბენალ ვაჟთა ასპარეზობას უნდა ეთქვა. მანამდე „ტრუდის“ ნაკრებმა, იმის წყალობით, რომ ამ საზოგადოების ქალთა გუნდმა წინადღით 5 კილომეტრზე რბენაში 111 ქულა მოაგროვა, 101 ქულით ჩამოიტოვა „დინამოს“ კოლექტივი. ახლა ამ უპირატესობის შენარჩუნებისთვის ლიდერს 15 კილომეტრზე რბენაში მეტოქისთვის 100 ქულაზე მეტი არ უნდა დაეთმო.

მაგრამ დინამოელები სულ სხვანაირად ფიქრობდნენ. მათ შესწევდათ რევანშის აღების ძალა. იმედს ისიც აძლიერებდა, რომ სსრ კავშირის ვაჟთა ახლანდელი ნაკრების ათ კანდიდატში 5 დინამოელი გახლდათ, „ტრუდის“ წარმომადგენელი კი არც ერთი არ იყო. თუ აღნიშნულს იმასაც დავუმატებთ, რომ ნაკრების მიღმა დარჩენილი სპორტის დამსახურებული ოსტატი ფ. სიმაშოვი (მოსკოვი) და სპორტის ოსტატი ვ. პოპოვი (სვერდლოვსკი) საგრძნობ ძალას წარმოადგენენ, დინამოელთა იმედი უსაფუძვლო როდი იყო. განა 50 კილომეტრზე რბენაში დინამოელებმა არ გაანადგურეს მეტოქე, როცა უძლიერესთა ათეულში 6 ადგილი დაიკავეს და 216 ქულა მოაგროვეს? (ათეულში შესულმა „ტრუდის“ ორმა მოთხილამურემ კი მხოლოდ 43 ქულა შესძინა კოლექტივს). ახლაც, 15 კილომეტრზე რბენაშიც ასე რომ გამეორებულიყო, სსრ კავშირის თასს უთუოდ „დინამო“ მოიპოვებდა.

წინადღით სპორტის დამსახურებული ოსტატები ვ. ვედენინი, ფ. სიმაშოვი (ორივე — მოსკოვი), საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ვ. როჩევი (სიკტივკარი), სპორტის ოსტატები ა. შმიგუნი, ვ. ლუკიანოვი, ა. იურასოვი (ყველა — მოსკოვი) და სხვა დინამოელები თათბირობდნენ, თხილამურებს გულმოდგინედ ამზადებდნენ, ვინაიდან კარგად იცოდნენ, რომ ახლა ყველაფერი მათზე იყო დამოკიდებული.

მაგრამ, ნათქვამია, კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო, გულხელდაკრეფილნი არც „ტრუდის“ ვაჟები მხდარან. მართალია, მათ მთავარი მეტოქის სიძლიერეში ეჭვი არ ეპარებოდათ, მაგრამ მაინც ჰქონდათ [illegible] თავის იმედი. გუნდის ლიდერს — კიროველ სპორტის დამსახურებულ ოსტატს ი. გარანინს არ დაუმალავს: როცა საჭიროა, „ტრუდი“ წოდებას გაამართლებს — შრომას არ შეუშინდებითო.

ტრუდელებს შეიარაღებული ძალების ნაკრებისა და სხვა სპორტსმენების დახმარების იმედიც ჰქონდათ: საკმარისი იყო დინამოელებს მათთან ბრძოლაში მოწინავე პოზიციები დაეთმოთ, რომ ამით თასის მოპოვებაშიც შეეშლებოდათ ხელი.

მართლაც, თასის გათამაშების ბოლო დღეს შუა ბრძოლიდან საქმე „ტრუდის“ სასარგებლოდ წარიმართა: სიმაშოვმა სადღაც თხილამური გატეხა და მის გამოცვლაში ძვირფასი დრო დაკარგა. ვედენინს, რომელიც სტარტიდან სიმაშოვის წინ წავიდა, მე-7 კილომეტრზე თანაგუნდელი ლუკიანოვი წამოეწია და მისთვის გზის დათმობის დროს დაზარალდა. მერე ორივე დინამოელს ბაკურიანის თასის მფლობელმა, არმიელმა სპორტის ოსტატმა ნ. ბაჟუკოვმა გაასწრო. ერთი სიტყვით, მოვლენები „ტრუდის“ სასარგებლოდ ვითარდებოდა და ახლა დანარჩენი თვით ამ საზოგადოების სპორტსმენებზე იყო დამოკიდებული — ტემპი არ უნდა შეენელებინათ.

ფინიშთან პირველი მივიდა უკრაინის დინამოელი ი. გულიაევი, რომელიც სტარტიდანაც პირველი ნომრით გავიდა. მისი მაჩვენებელი — 49.47,9 — ამ დღის ბოლოსწინა შედეგი აღმოჩნდა, მაგრამ მისთვის ყურადღება არავის მიუქცევია. მაყურებლები, სპეციალისტები, მწვრთნელები, თავისუფალი სპორტსმენები უძლიერესთა გამოჩენას ელოდნენ, ვინაიდან ყველაფერი მათს ბრძოლას უნდა გადაეწყვიტა.

კუიბიშეველი ნ. გორობეის („ტრუდი“) შედეგი (45.27,5) სპორტსმენს ლიდერობას მანამდე უნარჩუნებდა, ვიდრე მისმა თანაგუნდელმა ნ. ანტონენკომ (ვლადიმირიდან) არ დაამთავრა შეჯიბრება — 45.12,1, [illegible] „ტრუდის“ წევრმა, კიროველმა ვ. ტრეფილოვმა აჩვენა — 44.54,7.

საუბარი გაგვიგრძელდა. როცა შეჯიბრება დამთავრდა და შედეგები დავითვალეთ, გამოირკვა, რომ „ტრუდის“ ვაჟთა გუნდის წევრებმა უძლიერესთა ათეულში იმდენივე (3) ადგილი მოიპოვეს, რამდენიც დინამოელებმა. ამ სახეობის ჯამში კი (ჩათვლაში ოცდაათი საუკეთესოს რიცხვში შესული სპორტსმენების მაჩვენებელი შედიოდა) მათ 156 ქულა დააგროვეს და „დინამოს“ ქულით აჯობეს.

საკავშირო თასის გათამაშება ამით დასრულდა. ძვირფასი ჯილდო მოიპოვა „ტრუდის“ კოლექტივმა, რომელმაც ოთხი დისტანციის ჯამში 608 ქულა მოაგროვა, II ადგილზეა „დინამო“ — 506 ქულა, III — შეიარაღებული ძალების ნაკრები — 349.

მოკავშირე რესპუბლიკების, ოლქების, მხარეების, ავტონომიური რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდების შეჯიბრებაში (გამოდიოდა 35 გუნდი) თასი, ისევე როგორც შარშან, მოსკოველებს დარჩათ — 349 ქულა. II ადგილი დაიკავა კომის ასსრ-ს კოლექტივმა — 240, III — ლენინგრადელთა გუნდმა — 187.

შეჯიბრების ბოლო დღეს თავი განსაკუთრებით გამოიჩინეს არმიელებმა: ნ. ბაჟუკოვმა აჩვენა საუკეთესო დრო — 43.47,9. II ადგილზეა ს. საველიევი — 43.56,6, III — ა. შმიგუნი („დინამო“) — 44.13,0.

ქვეყნის ნაკრები ასპარეზობის დამთავრებისთანავე მოსკოვს გაემგზავრა, საიდანაც გაემგზავრება ინსბრუკში. იქ კი, როგორც ცნობილია, 31 იანვარს წინაოლიმპიური კვირეული უნდა დაიწყოს.

ო. გელაშვილი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი,
რესპუბლიკური კატეგორიის
მსაჯი.
(ჩვენი სპეც. კორ.).
ბაკურიანი.

2:1 და 5:2

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებმა კიდევ ორი ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ჩაატარა იუგოსლავიაში. პირველად იგი კურორტ დუბროვნიკის სტადიონზე შეხვდა ამ ქალაქის გუნდს, რომელიც გაძლიერებული იყო იუგოსლავიის სხვა უძლიერესი კლუბების მოთამაშეებით. საბჭოთა ფეხბურთელებმა გაიმარჯვეს — 2:1. გოლები გაიტანეს შევჩენკომ და კოლოტოვმა.

საუკეთესოდ ითამაშა სსრ კავშირის ნაკრებმა გასულ კვირას იუგოსლავიის ჩემპიონ „ჰაიდუკთან" (სპლიტი) და დაამარცხა იგი დიდი ანგარიშით — 5:2. გოლები გაიტანეს კოლოტოვმა (2), კონკოვმა, ვერემეევმა და მატვიენკომ.

4 უპასუხო ბურთი

26 იანვარს მოსკოვის ლუჟნიკის სპორტის სასახლეში დაიწყო საერთაშორისო ტურნირი მინი-ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობს მოსკოვის 5 გუნდი — „სპარტაკი", „დინამო", „ტორპედო", ცსკა, „ლოკომოტივი" და სოფიის ნაკრები.

გათამაშების პირველ დღეს ტორპედოელებმა დაამარცხეს „სპარტაკი" — 6:4, ხოლო ცსკა-მ მოუგო „დინამოს" — 4:3. აღსანიშნავია, რომ დინამოელებმა შეხვედრის პირველი ნახევარი მოიგეს ანგარიშით 3:0, მეორე ტაიმში კი 4 უპასუხო ბურთი გაუშვეს.

დაუმარცხებლად

ქუთაისის განათლების განყოფილების სპორტთამაშების დარბაზში მოეწყო შეჯიბრება მინი-ფეხბურთში. ტურნირში მონაწილეობდნენ მასპინძელთა ქალაქის განათლების განყოფილების, „დინამოს", რუსთავისა და ჭიათურის ნორჩ ფეხბურთელთა გუნდები.

დაუმარცხებლად იასპარეზა ქუთაისის განათლების განყოფილების გუნდმა, რომელიც I ადგილზე გავიდა. მომდევნო ადგილებზე არიან დინამოელები, რუსთავისა და ჭიათურის გუნდები.

საუკეთესო მეკარის პრიზი მიიღო დინამოელმა მაღლაკელიძემ, მცველისა — მისმა თანაგუნდელმა ჭელიძემ, ნახევარმცველისა — ჯანელიძემ, თავდამსხმელისა — სვანიძემ, ყველაზე შედეგიანი ფეხბურთელისა — გენძეხაძემ (ყველა — განათლების განყოფილება). ყველაზე საზრიან ფეხბურთელად მიიჩნიეს რუსთაველი გვასალია, ხოლო ყველაზე პერსპექტიულად — ჭიათურელი ბარათაშვილი.

შ. ნიჟარაძე.
(ჩვენი კორ.).

ქუთაისი.

თამაშის კლასი უნდა ამაღლდეს

ფეხბურთელთა შარშანდელ რესპუბლიკურ გათამაშებათა სამივე ჯგუფში 62 გუნდი მონაწილეობდა. სულ შედგა 730 კალენდარული მატჩი, აქედან I ჯგუფში — 377, II ჯგუფის ორივე ზონაში — 252, ხოლო ზონალურ გათამაშებებში — 101.

საქართველოს 1974 წლის ჩემპიონის წოდება და მასთან ერთად „ა" კლასის II ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვა რუსთავის „მეტალურგმა" (მწვრთნელი — საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი ფ. ჭელიძე). გუნდი კარგად იყო დაკომპლექტებული თანაბარი სიძლიერის, შეთამაშებული ფეხბურთელებით, რომლებმაც, ჩემპიონობის გარდა, მოიპოვეს რესპუბლიკისა და ფიზკულტურული კოლექტივების საკავშირო თასებიც. კოლექტივში არიან გამოცდილი ფეხბურთელები: ვ. ავერინი, ა. პავლოვი, თ. ღოღობერიძე, ი. ალადაშვილი, გ. სიმონიშვილი, თ. კონიაშვილი, თ. მიქაშავიძე, აგრეთვე, ახალგაზრდობა — ვ. მელაძე, გ. კირვალიძე, ი. კენკიშვილი, ლ. გოგუაძე, ო. შენგელია, ზ. გაგუა, ა. კაჭახიძე, მ. ჯიქია, ზ. ჯაფარიძე... რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ხელმძღვანელობისა და ფიზკულტურის კომიტეტის ხელშეწყობით აქაურმა ფეხბურთელებმა მთელი სეზონი მონდომებით, აქტიურად ჩაატარეს და მათი წარმატებები სავსებით დამსახურებულია.

II ადგილი ჭიათურის „მაღაროელს" (მწვრთნელები ე. შვანგირაძე, გ. იობაშვილი) ხვდა. ჭიათურელმა ფეხბურთელებმა განსაკუთრებით კარგად ჩაატარეს ჩემპიონატის მეორე წრე. თუ ეს მზარდი, მეგობრული კოლექტივი კვლავაც ასეთივე ერთსულოვნებით იბრძოლებს, უნდა ვიფიქროთ, რომ იგი შეძლებს კიდევ უფრო დიდ წარმატებათა მოპოვებას. გუნდში არიან პერსპექტიული ფეხბურთელები: მ. წერეთელი, რ. შელია, დ. კაციტაძე, ა. თაბაგარი...

საქართველოს ჩემპიონატის მესამე პრიზიორი - პირველად გახდა გეგეჭკორის „სალხინო" (მწვრთნელები ზ. ბართაია, დ. ვახანია), რაც უდავოდ დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს. გეგეჭკორელი ფეხბურთელებიდან გამოვყოფთ ა. ძაგანიას, ზ. ცანავას, მ. გაგუას.

მეტ წარმატებას მოველოდით თბილისელ არმიელ ფეხბურთელთაგან (მწვრთნელები — სპორტის დამსახურებული ოსტატი ზ. კალოევი და გ. ლომიძე), რომლებმაც შემოდგომაზე შეძლეს სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა პირველობის მოგება, აგრეთვე, ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდისგან (მწვრთნელი ნ. ზაქარიაძე). ეს იმიტომ, რომ სწორედ ეს ორი კოლექტივი ივსება ყოველწლიურად რესპუბლიკის სხვა გუნდების პერსპექტიული ფეხბურთელებით.

გვინდა გამოვყოთ ის გუნდები, რომლებიც ადგილობრივი კადრებით არიან დაკომპლექტებული, ესე იგი ზრუნავენ ახალგაზრდობის აღზრდისთვის, მათი დაწინაურებისთვის. ესენი არიან თბილისის „ლოკომოტივი" (მწვრთნელები — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ვ. ელოშვილი და თ. ცერცვაძე), ოჩამჩირის „ამირანი" (მწვრთნელი ბ. კაკუბავა), ქობულეთის „შუქურა" (მწვრთნელები ნ. ჩაჩუა, ჯ. სიორდია), ასპინძის „ვარძია" (მწვრთნელი რ. რიჟამაძე).

წინა წელთან შედარებით შესამჩნევად დათმეს პოზიციები „ქართლმა" (გორის რაიონი), ტყიბულის „მეშახტემ", ხაშურის „ივერიამ", თელავის „კახეთმა", ხობის „კოლხეთმა".

განსაკუთრებით ცუდად ითამაშეს ვანის „სულორმა" და ცხინვალის „სპარტაკმა", რომლებმაც, დებულების თანახმად, დატოვეს I ჯგუფი. სპარტაკელთა ეს მარცხი კანონზომიერ მოვლენად მიგვაჩნია, ვინაიდან მათ არავითარი მხარდაჭერა არ ჰქონდათ ხელმძღვანელობისგან. ეტყობა, ცხინვალში არავინ ფიქრობს ფეხბურთის განვითარებაზე, აქ კი, უნდა ითქვას, საკმაოდ არიან კარგი მონაცემების მქონე ფეხბურთელები.

მეორე ჯგუფის I ზონაში გამარჯვება საკმაოდ იოლად მოიპოვა ყვარლის „დურუჯმა", II ზონაში კი დაძაბული ბრძოლა გაიმართა წულუკიძის „კოლმეურნესა" და თერჯოლის „იმერეთს" შორის. მათი ხანგრძლივი დავა გადაწყვიტა დამატებითმა მატჩმა, რომელიც „კოლმეურნემ" მოიგო. ყვარლისა და წულუკიძის ფეხბურთელები წლეულს I ჯგუფში გამოვლენ.

ბოლო წლებში საკმაოდ გახშირდა შემთხვევები, როცა გუნდები თვითნებურად ეთიშებიან გათამაშებას. შარშან ასე მოიქცნენ ვანის „სულორი", თბილისის „შევარდენი", ქუთაისის „ფეიქარი", სოხუმის „დიოსკურია", ჩხოროწყუს „კოლმეურნე", ლანჩხუთის „კოლმეურნე".

რაიონულ პირველობებში გამარჯვებულმა 32 გუნდმა მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკურ ზონალურ გათამაშებაში, რომელიც ტერიტორიული პრინციპით ჩატარდა. ეს ეტაპობრივი შეჯიბრება საბოლოოდ დამთავრდა მცხეთის „არაგვის", საგარეჯოს „პოლიტექნიკოსის", ახმეტის „ქიმიკოსისა" და ბათუმის „მშენებლის" წარმატებით.

საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ რესპუბლიკური შეჯიბრებების მონაწილე გუნდებიდან შერჩეული არიან პერსპექტიული ფეხბურთელები უფრო მაღალი კვალიფიკაციის კოლექტივებისთვის. თბილისის „დინამოში" ჩაირიცხნენ უ. ქანთარია თბილისის „ლოკომოტივიდან", ვ. კოპალეიშვილი, ლ. მელიქია — ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდიდან, რ. შელია — ჭიათურის „მაღაროელიდან", ვ. დარასელია ოჩამჩირის „ამირანიდან".

ქობულეთის „შუქურადან" ბათუმის „დინამოში" გადავიდა რ. ჩელებაძე, ზუგდიდის „დინამოში" გადავიდნენ თ. ლომსაძე (ხაშურის „ივერიიდან"), ვ. გაბელია და ა. ქანთარია (ხობის „კოლხეთიდან"), სამტრედიის „ლოკომოტივში" — ვ. შავგულიძე (თერჯოლის „იმერეთიდან") და ზ. ბოჭორიშვილი (ზესტაფონის „მეტალურგიდან"). ვ. ვლაშჩენკო „ქართლიდან" გადავიდა გორის „დილაში".

ზემოჩამოთვლილთა გარდა, უნდა დავასახელოთ სხვა პერსპექტიული მოთამაშეებიც: ვ. მელაძე, ზ. ჯაფარიძე, ი. გოგუაძე, მ. ჯიქია, ა. კაჭახიძე, გ. კირვალიძე (რუსთავის „მეტალურგი"), მ. წერეთელი, დ. კაციტაძე (ჭიათურის „მაღაროელი"), მ. გაგუა, ა. ძაგანია, ზ. ცანავა (გეგეჭკორის „სალხინო"), გ. კაზაკოვი, გ. ბენიძე, ნ. ბოხაშვილი, ა. დრაჩი, კ. ცანავა (სოხუმის „დინამო"), დ. დარჯანია (თბილისის ასკ), ო. გიგოლაშვილი, ტ. ციკოლია, გ. მორგოშია (ფიზკულტურის ინსტიტუტი), ა. გორგილაძე (ქობულეთის „შუქურა"), ზ. ნემსაძე, გ. სანაძე (თბილისის „ლოკომოტივი"), ს. გლიხიანოვი (ზესტაფონის „მეტალურგი"), ვ. დარასელია, ი. ლოღუა, ნ. გოგოხია (ოჩამჩირის „ამირანი"), ნ. ქერდიკაშვილი (გორის რაიონის „ქართლი"), თ. კობერიძე, პ. ბანცაძე (ხაშურის „ივერია"), ა. არსენიძე (ტყიბულის „მეშახტე")...

სეზონის დაწყებამდე ოჩამჩირეში მოეწყო მსაჯთა მოსამზადებელი სემინარი. არბიტრები მეტი სიმკაცრით ეკიდებოდნენ დისციპლინის დამრღვევებს. შეიძლება ესეცაა მიზეზი, რომ იმატა წესრიგის დარღვევათა ფიქსირებულმა რიცხვმა, მაგრამ დასამალი არაა, რომ რესპუბლიკის გუნდებში სათანადო სიმაღლეზე არ დგას პოლიტაღმზრდელობითი მუშაობის საქმე.

ცხრილის სახით მოგვყავს საერთო სურათი, თუ დისციპლინის მხრივ რა მდგომარეობაა I ჯგუფის გუნდებს შორის:

გუნდები	გაფრ.	გაძ.	ადგ.
„განთიადი" (თბილისი)	6	0	1
„ამირანი" (ოჩამჩირე)	11	0	2
„მაღაროელი" (ჭიათურა)	8	1	3-5
„დინამო" (სოხუმი)	8	1	3-5
„ქართლი" (გორის რაიონი)	8	1	3-5
„კახეთი" (თელავი)	9	1	6
ასკ (თბილისი)	13	0	7
„შუქურა" (ქობულეთი)	10	1	8
„მეტალურგი" (ზესტაფონი)	7	2	9
„სალხინო" (გეგეჭკორი)	11	1	10
„სულორი" (ვანი)	10	2	11-12
„ეგრისი" (ცხაკაია)	10	2	11-12
„ივერია" (ხაშური)	14	1	13
„მეტალურგი" (რუსთავი)	8	4	14-16
„მეშახტე" (ტყიბული)	8	4	14-16
„კოლხეთი" (ხობი)	8	4	14-16
„სპარტაკი" (ცხინვალი)	14	2	17
„ვარძია" (ასპინძა)	12	3	18
„ლოკომოტივი" (თბილისი)	9	4	19-20
ფიზკ. ინსტ. (თბილისი)	15	2	19-20

ამ ცხრილის მიხედვით შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნები იმის თაობაზე, თუ რომელ კოლექტივში რა ყურადღებას აქცევენ ფეხბურთელებთან აღმზრდელობითს მუშაობას, როგორი აქვთ დისციპლინა.

საბჭოთა სპორტსმენისა და მოქალაქისთვის შეუფერებელი საქციელის გამო ფეხბურთის რესპუბლიკურმა ფედერაციამ და სპორტტექნიკურმა კომისიამ საერთოდ აუკრძალეს ფეხბურთის თამაში ა. ტალახაძეს, ლ. გოგსაძეს, თ. ფოფხაძეს (ლაგოდეხის „ჰერეთი"), მ. აქუბარდიას, მ. გითოლენდიას [illegible]რი"), ი. ბარდაკოვს (სამტრედიის ხის დამმუშავებელი კომბინატი), ტ. გამყრელიძეს (ტყიბულის „მეშახტე"). სხვადასხვა სასჯელი დაედოთ ზ. მაისურაძეს (რუსთავის „მეტალურგი"), ვ ბაღათრიშვილს (თელავის „კახეთი"), გ. კოსტავას (სოხუმის „დინამო"), ე. გვასალიას (ხობის „კოლხეთი"), რ. ბალაძეს (ქობულეთის „შუქურა") და ბევრ სხვას. მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

ცალკეულ შემთხვევებში იყო ისეთი დარღვევები, რომელთა გამოც გაფრთხილება მიეცათ ვანისა და ცხინვალის სტადიონებს. დისციპლინის დარღვევის კოლექტიური შემთხვევების გამო ისჯებოდა მთლიანად გუნდიც. ჯერ კიდევ ვხვდებით განაცხადში აღუნიშნავი მოთამაშეების მინდორზე გამოყვანის, მატჩებზე გამოუცხადებლობის (ვანის „სულორი", წალკის „თრიალეთი", ლაითურის „გიგანტი", თიანეთის „იორი", გულრიფშის „კოლმეურნე" და სხვ.) შემთხვევებს. არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმასაც, რომ ძალიან ცუდი ხარისხის სათამაშო მინდვრებია ხობში, ცხაკაიაში, ლაგოდეხში, ასპინძაში, ქარელში.

ჯერ კიდევ არ დგას სათანადო სიმაღლეზე ფეხბურთელთა მხრივ სპეციალური ნორმატივების ჩაბარების საქმე. მწვრთნელების უმეტესობა ამ ამბავს ეკიდება ზერელედ, ფორმალურად, რაც, ცხადია, უარყოფითად მოქმედებს ფეხბურთელთა ფიზიკურ მომზადებაზე.

მსაჯობის ბრიგადულმა სისტემამ საგრძნობლად გააუმჯობესა კალენდარული მატჩების მომსახურების ხარისხი. გამოვყოფთ არბიტრებს ნ. ამირეჯიბს, ო. ალავიძეს, ვ. მიძინოშვილს, გ. გვანცელაძეს, ლ. ღონღაძეს, ჟ. ძნელაძეს, ვ. ეჯიბიას, დ. კვინიკაძეს, თ. ფანიაშვილს (ყველა — თბილისი), ა. დურსუნიშის, ხ. შავიშვილს, ი. კუსიდის (ყველა — ბათუმი), ნ. წურქავას (ფოთი), ლ. ჯოხაძეს (ხაშური). მაგრამ ყველაფერი არც აქ გვაქვს რიგზე. მსაჯთა რესპუბლიკური კოლეგია იძულებული იყო სხვადასხვა ვადით აეკრძალა მსაჯობა თ. ერგემლიძისთვის (ტყიბული), ვ. შილაკაძისთვის (თბილისი), დ. აბუთიძისთვის (ქუთაისი). ამას გარდა, არც ის იყო გამონაკლისი, რომ მატჩზე დანიშნული არბიტრები არ ცხადდებოდნენ ადგილებზე. მაგალითად, ასე იქცეოდნენ ჯ. ჯიშიაშვილი (ტყიბული), ნ. ცანავა (გაგრა), მ. სიჭინავა (გუდაუთა), გ. პოღოსიანი, ვ. ჭელიძე (ორივე — სოხუმი), ე. კაპანაძე, გ. ჭაგნელიძე (ორივე — ზესტაფონი), მ. ლოსაბერიძე (ქუთაისი).

რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაციას 1975 წლისთვის განზრახული აქვს ზოგიერთი ცვლილება შეიტანოს გათამაშების დებულებაში, საგანგებო ყურადღება მიაქციოს გუნდებში სასწავლო-საწვრთნელი პროცესის გაუმჯობესებას, აღმზრდელობითი მუშაობის გარდაქმნას, გუნდების მომარაგებას სათანადო ინვენტარით.

საჭიროა ქმედითი, პრაქტიკული ღონისძიებანი, რათა რესპუბლიკური შეჯიბრებები ფეხბურთში უფრო ორგანიზებულ, მაღალ დონეზე ჩატარდეს.

უ. ფურცელაძე,
საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს უფროსი მწვრთნელი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

საინტერესო საღამო

გასულ შაბათს საინტერესო საღამო მოეწყო თბილისის კინოს სახლში. საქართველოს კინემატოგრაფიის მუშაკებმა შეხვედრა გაუმართეს თბილისის „დინამოს" ძველი და ახალი თაობების წარმომადგენლებს.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ს. დოლიძემ. სიტყვებით გამოვიდნენ საქართველოს სახალხო არტისტი კ. სანიშვილი, სპორტის დამსახურებული ოსტატები ბ. პაიჭაძე, გ. გაგუა, გ. ანთაძე, მ. იაკუშინი.

დასასრულ უჩვენეს საინტერესო კინოფილმები.

• • •

სურათზე: შეხვედრის მონაწილეთა ჯგუფი (მარცხნიდან) — მ. მაჩაიძე, გ. ნოდია, ლ. ნოდია, ხ. დოლიძე, რეჟისორი რ. ჭარხალაშვილი, ბ. პაიჭაძე, გ. გაგუა, ვ. გუცაევი.

მ. ზარგარიანის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

დიდი უპასუხებს შეკითხვებზე

1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებას თვე-ნახევარი აკლდა, როცა ბრაზილიის ფეხბურთელთა ნაკრებს სათავეში ჩაუდგა წარსულში ცნობილი მოთამაშე, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი მარიო ზაგალო. მისი დებიუტი ამ პოსტზე საუცხოო გამოდგა. ბრაზილიელებმა მექსიკაში შესანიშნავად ითამაშეს, არც ერთ მეტოქეს არ დაუტოვეს წარმატების შანსის მისხალიც კი, ფინალში იოლად დაამარცხეს იტალიის ნაკრები, მესამედ და საბოლოოდ გახდნენ ოქროს ქალღმერთის თასის მფლობელნი.

შემდეგ იყო 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატი, რომელმაც ბრაზილიელებს მოუტანა IV ადგილი, ორი დამარცხება ჰოლანდიელებთან და პოლონელებთან და ფაქტიურად, სრული გაწბილება, ფიასკო. ვინ იყო დამნაშავე? რა თქმა უნდა მწვრთნელი მარიო ზაგალო. ვიღას ახსოვდა, რომ ზაგალოს მეთაურობით ბრაზილიის ნაკრებმა ჩაატარა 50 მატჩი, მათგან მოიგო 36, 10 ფრედ დაამთავრა და წააგო მხოლოდ 4. ძველისთვის მადლობა, ახლისთვის... პანღური.

მ. ზაგალო სასწრაფოდ გაათავისუფლეს თანამდებობიდან და მის ადგილზე მიიწვიეს ასევე მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, ბრაზილიის ლეგენდარული გუნდის გამოჩენილი წევრი, ბრწყინვალე ფეხბურთელი ვალდირ პერეირა (დიდი).

დიდი 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის ამზადებდა პერუს ნაკრებს, რომელმაც მაშინ საუცხოო შთაბეჭდილება მოახდინა, შემდეგ გაემგზავრა თურქეთს, სადაც სათავეში ჩაუდგა სტამბულის „ფენერბახჩეს" და ბევრი რამ გააკეთა ამ გუნდისთვის.

სულ ახლახან პოლონეთის გაზეთ „სპორტში" გამოქვეყნდა დიდის საუბარი კორესპონდენტთან, რომელსაც ფეხბურთის მოყვარულებს ვთავაზობთ შემოკლებული სახით.

● **რა გაინტერესებთ, რით ხართ გატაცებული, დიდი?**

— ფეხბურთით, მხოლოდ ფეხბურთით. მიყვარს თევზაობა, ხეზე ჩუქურთმების ჭრა, მაგრამ საამისოდ დრო არასოდეს არა მაქვს, ამიტომ რჩება ისევ და ისევ ფეხბურთი.

● **თქვენ საუკეთესო ფეხბურთელი იყავით, შემდეგ წარმატებით ავარჯიშებდით გუნდებს. რა იქნებოდა, მწვრთნელობა რომ არ დაგეწყოთ?**

— ბევრი ფირმა მთავაზობდა გამეხსნა სპორტსაქონლის მაღაზია, რესტორანი ან ბარი. საამისოდ საკმარისი იყო მხოლოდ ჩემი სახელი და თანხმობა. მაგრამ ეს საჩემო საქმე არაა. ფეხბურთი დიდისთვის ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, ამიტომ არჩევანზე არც მიფიქრია. ცნობილი კლუბებისა და ნაკრები გუნდებისგან მიწვევა რომ არ მქონოდა, ბავშვების წვრთნას შევუდგებოდი. ძალიან მიყვარს 15-16 წლის ბავშვებთან მუშაობა და ოცნებად მაქვს, იუნიორები ავიყვანო მაღალი კლასის ოსტატებამდე.

● **ვინაა თქვენი ყველაზე კარგი მეგობარი ბრაზილიის „ოქროს გუნდიდან?"**

— გარინჩა. იგი ნამდვილი მეგობარია. თუმცა, მაშინ ჩვენს ნაკრებში ყველანი ვამხანაგობდით და ერთსულოვნება ჩვენი გამარჯვებების ერთ-ერთი მთავარი საფუძველი იყო. გარინჩას მაინც გამოვყოფ, ძმასავით მიყვარს. თვალდახუჭულმა ვიცოდი, მინდორზე რომელ წამს სად იყო გარინჩა, როგორ მიმეცა მისთვის ბურთი.

● **რას იტყვით ბრაზილიის ახლანდელი ნაკრების მწვრთნელობის თაობაზე?**

— ოფიციალური წინადადება მომცეს ჩავიბარო გუნდი 1975 წლის იანვრიდან. მაგრამ, ეტყობა, წლის ბოლომდე ვერ წავალ თურქეთიდან.

● **რატომ დატოვეთ პერუ? ის გუნდი ხომ ასე კარგად თამაშობდა მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატში!**

— მიზეზი ერთი იყო მხოლოდ — კლიმატი. თავს ძალიან ცუდად ვგრძნობდი: გაიშვიათებული ჰაერი, ყინვები... ამას გარდა, მინდოდა უმცროსი ქალიშვილი ევროპულ ყაიდაზე გამეზარდა. მას დიდი მიდრეკილება აქვს უცხოური ენებისადმი.

● **თქვენ ნახეთ ბრაზილია — პოლონეთის გუნდების მატჩი მსოფლიო ჩემპიონატში. ალბათ ძალიან გატკინათ გული ბრაზილიელთა მარცხმა!**

— არა, გული არ მტკენია. უფრო გაწბილებული დავრჩი თანამემამულეთა სუსტი თამაშით. ახლანდელი გუნდის ახალი თაობის ფეხბურთელებმა მეტი უნდა იცოდნენ, ვიდრე ჩვენ ვიცოდით. საქმე კი პირიქითაა.

● **რატომ ხდება ასე?**

— მე მათ ვადარებ ჩემი დროის მოთამაშეებს და ვრწმუნდები, რომ ახლანდელ ფეხბურთელებს სურთ იცხოვრონ თავისუფლად, ნაკლები სიძნელეებით, შეუძლიათ ფეხბურთი თავიანთს ჟინსა და ახირებას ანაცვალონ. ეს კი არ შეიძლება. ხანახევრო ფეხბურთი — ეს ნამდვილი ფეხბურთი არ არის.

ჩემპიონატები, მატჩები, ციფრები

იტალია

ჩემპიონატის ლიდერი ტურინის „იუვენტუსი" გუშინწინ შინ შეხვდა ვიჩენცის „ლანეროსის" და გაიმარჯვა — 2:1.

I ლიგის დებიუტანტმა „ასკოლიმ" საკუთარ მინდორზე სძლია ჩემპიონს — რომის „ლაციოს" — 1:0. „რომამ" ასევე შინ იმავე ანგარიშით მოუგო მილანის „ინტერნაციონალეს".

„მილანმა" აჯობა „ტერნანას" — 3:1.

„ჩეზენასა" და „ბოლონიის" შეხვედრაში, რომელიც ფრედ (2:2) დამთავრდა, ბოლონიელთაგან პირველი გოლი სავოლდიმ გაიტანა. ახლა იგი 10 გოლით კვლავ ლიდერობს სნაიპერთა სიას.

	თ.	ბ.	ქ.
„იუვენტუსი"	15	24:8	23
„ლაციო"	15	20:11	20
„რომა"	15	13:7	19

ესპანეთი

კვირას პირველობის გათამაშების მორიგი ტურის ცენტრალური მატჩი მოეწყო მადრიდის „სანტიაგო ბერნაბეუს" მინდორზე, სადაც ლიდერი — ადგილობრივი „რეალი" „ვალენსიას" შეხვდა. ანგარიში მადრიდელმა აგილარმა გახსნა, მაგრამ შესვენებამდე სტუმრებმა ორი საპასუხო გოლის გატანა შეძლეს. მეორე ნახევარში მადრიდელთა მწვრთნელმა მილიანიჩმა მარცხენა გარემარბი მაკანა არგენტინელი რობერტო მარტინესით შეცვალა და ამ უკანასკნელმა რამდენიმე წუთის შემდეგ ანგარიში გაათანაბრა — 2:2. მატჩის მიწურულს მადრიდელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა სანტილიანამ თავური დარტყმით გამარჯვების გოლი გაიტანა — 3:2.

„რეალ სარაგოსამ" საკუთარ მინდორზე მოუგო ხიხონის „სპორტინგს" — 3:1. სარაგოსელმა არუამ ორი გოლი გაიტანა.

ბილბაოს „ატლეტიკომ" აჯობა „მალაგას" — 3:1. ჩემპიონმა „ბარსელონამ" საკუთარ მინდორზე მოუგო სან-სებასტიანის „რეალ სოსიედადს" — 2:0. პირველი გოლი პენალტით გაიტანა ნეესკენსმა, ხოლო მატჩის ბოლოს ასენსიმ ანგარიში გაზარდა.

„რეალი" (მადრიდი)	18	37:19	28
„რეალ სარაგოსა"	18	31:21	22
„ბარსელონა"	18	37:23	21

ჰოლანდია

ჩემპიონატის მორიგი ტურის ცენტრალური შეხვედრა როტერდამში ჩემპიონ „ფეიენოორდსა" და თასის მფლობელ „ფშვ ეინდჰოვენს" შორის ჩემპიონისთვის საბედისწერო აღმოჩნდა — როტერდამელებმა წააგეს (2:3) და ეინდჰოვენელებს ლიდერობა დაუთმეს. „ფშვ ეინდჰოვენს" მიმდინარე სეზონში არც ერთი მატჩი არ წაუგია!

ამსტერდამის „აიაქსმა" შინ აჯობა „ბრედას" — 5:1. „ჰაარლემმა" მინიმალური ანგარიშით მოუგო ენსხედეს „ტვენტეს" — 1:0.

სნაიპერთა სიას ლიდერობს „ფშვ ეინდჰოვენის" კაპიტანი ვილი ვან დერ კაილენი — 20 გოლი. კროიზი („ფეიენოორდი") 14 გოლით მეორეა.

„ფშვ ეინდჰოვენი"	17	47:17	29
„ფეიენოორდი"	18	60:18	28
„აიაქსი"	17	43:17	26
„ტვენტე"	17	30:16	21

ბელგია

მოლენბეკის „რასინგ ვიტმა" შინ აჯობა „ვარეგემს" — 3:1. ბრიუსელის „ანდერლეხტმა" სტუმრად მოუგო „კს ბრიუჟს" — 2:0.

სნაიპერთა სიის სათავეში არიან ტეგელსი („რასინგ ვიტი") და სიმონი („ოსტენდე") — 15-15 გოლი.

„რასინგ ვიტი"	21	53:20	34
„ანდერლეხტი"	21	37:13	29
„სტანდარდი" (ლიეჟი)	21	37:19	28

საბერძნეთი

პირველობის გათამაშების XIII ტურის ცენტრალური შეხვედრა მოეწყო პირეიში, სადაც ჩემპიონი და თასის მფლობელი — ადგილობრივი „ოლიმპიაკოსი" ლიდერს — თანაქალაქელ „ეთნიკოსს" შეხვდა. დაძაბული მატჩი ფრედ დამთავრდა. — 1:1.

„ეთნიკოსი" (პირეი)	13	23:7	35
აეკ (ათენი)	13	23:4	34
„ოლიმპიაკოსი"	13	26:9	34
პაოკ (სალონიკი)	13	28:12	30

(საქ. ინფ.).

თასები, თასები...

ინგლისი

შაბათს თასის გათამაშების მორიგ ტურში ბრძოლას გამოეთიშა ორივე შარშანდელი ფინალისტი: „ლივერპული" და „ნიუკასლ იუნაიტედი". თასის მფლობელ „ლივერპულისა" და „იფსვიჩ თაუნის" შეხვედრის მიწურულს იფსვიჩელმა მილსმა შეძლო გოლის გატანა ლივერპულელთა კარში — 1:0. III ლიგის წარმომადგენელმა „უოლსოლმა" ამავე ანგარიშით სძლია „ნიუკასლ იუნაიტედს".

ლონდონის მოყვარულთა გუნდმა „უიმბლდონმა" ლიდსში ფრედ (0:0) ითამაშა ჩემპიონ „ლიდს იუნაიტედთან". ასევე ფრედ ითამაშეს „კოვენტრი სიტიმ" და ლონდონის „არსენალმა" — 1:1.

ლონდონის „ჩელსიმ" შინ წააგო „ბირმინგემ სიტისთან" — 0:1. ლივერპულის „ევერტონმა" სტუმრად დაამარცხა (3:1) III ლიგის გუნდი „პლიმუტ არგაილი". ამავე ლიგის წარმომადგენელმა „სუინდონ თაუნმა" ლონდონში ფრედ დაამთავრა შეხვედრა ადგილობრივ „ვესტ ჰემ იუნაიტედთან" — 1:1.

„მიდლსბრომ" შინ მოუგო II ლიგის გუნდს „სანდერლენდს" — 3:1.

შოტლანდია

შაბათს ეროვნული თასის გათამაშების მორიგ ტურში ჩემპიონმა და თასის მფლობელმა — გლაზგოს „სელტიკმა" ედინბურგში სძლია (2:0) ადგილობრივ „ჰიბერნიენს" და შემდეგ ტურში გავიდა. გოლები გაიტანეს დინსმა და მარიმ.

„გლაზგო რეინჯერსმა" სტუმრად ვერ შეძლო „აბერდინის" დამარცხება (1:1) და გუნდები კვლავ შეხვდებიან ერთმანეთს.

(საქ. ინფ.).

გიგანტურ სლალომში ჰაკერმა იმარჯვა

გაიმართა მსოფლიო თასისთვის მებრძოლ მოთხილამურე ვაჟთა შეჯიბრების მორიგი ეტაპი. ასპარეზობა ავსტრიის პატარა საკურორტო ქალაქ ფულპმესში ჩატარდა. გიგანტური სლალომის 2100-მეტრიან ტრასაზე ყველას აჯობა ნორვეგიელმა ერიკ ჰაკერმა. ორი ცდის ჯამში მისი დროა 2.55,66. II ადგილზეა შვედი ი. სტენმარკი — 2.56,47. III ადგილი წილად ხვდა მასპინძელ ჰ. ჰინტერზეერს — 2.57,31.

პირველი ცდის შემდეგ საუკეთესო დრო მსოფლიო თასის ახლანდელ მფლობელს, 18 წლის იტალიელ პიერო გროსს ჰქონდა, მაგრამ მეორე ცდაზე იგი წარუმატებლად დაეშვა და საბოლოოდ XIV ადგილზე გავიდა. მისი დროა 2.59,35.

მსოფლიო თასის გათამაშების ლიდერთა სიას სათავეში კვლავ ფრანც კლამერი უდგას (ფულპმესში მან VI ადგილი დაიკავა). II ადგილზეა გროსი, III — მისი თანამემამულე გუსტავო ტონი. ფულპმესში მოპოვებულმა II ადგილმა სტენმარკი IV ადგილზე გაიყვანა. ახლა მას 110 ქულა აქვს.

მოგვყავს გიგანტური სლალომის ტრასაზე მოასპარეზეთა უძლიერესი ათეული: 1. ე. ჰაკერი — 2.55,66; 2. ი. სტენმარკი — 2.56,47; 3. ჰ. ჰინტერზეერი — 2.57,31; 4. ჟ. ჰემი (შვეიცარია) — 2.57,46; 5. თ. ჰაუზერი (ავსტრია) — 2.57,57; 6. ფ. კლამერი — 2.58,20; 7. ჰ. შმალცლი (იტალია) — 2.58,41; 8. ე. პარგეეცი (შვეიცარია) — 2.58,43; 9. გ. ტონი — 2.58,52; 10. ხ. თბერფრანკი (იტალია) — 2.59,08.

(საქ. ინფ.).

სტენსენს ბადალი არ ჰყავდა

ჰერენვეინი (ჰოლანდია), 26 იანვარი. აქ გაიმართა ევროპის ვაჟთა ჩემპიონატი ციგურებით სწრაფრბენაში. 500 მეტრზე რბენაში ყველას აჯობა ნორვეგიელმა კ. სტენსხიემეტმა — 41,47 წამი. 5000 მეტრზე შეჯიბრებაში ბადალი არ ჰყავდა ასევე ნორვეგიელ ს. სტენსენს (7.44,13), რომელიც ორი დისტანციის ჯამში დაწინაურდა კიდეც — 88,563 ქულა (სტენსენი მესამე იყო 500-მეტრიან დისტანციაზე — 42,15).

სტენ სტენსენმა მეორე დღესაც შეინარჩუნა უპირატესობა, მრავალჭიდის ჯამში 177,568 ქულა მოაგროვა და ევროპის ჩემპიონის დიდი ოქროს მედალიც მოიგო.

საბჭოთა სპორტსმენებმა მრავალჭიდში ასეთი შედეგები მოიპოვეს: იჟევსკელი ვ. ივანოვი — V ადგილი, სვერდლოვსკელი ი. კონდაკოვი — VI, უფელი ვ. ვარლამოვი — VIII, კრასნოიარსკელი ა. ვლადიმიროვი — X.

ვარლამოვმა კონტინენტის ჩემპიონის ოქროს მცირე მედალი მოიპოვა 10000 მეტრზე რბენაში გამარჯვებისთვის, თანაც, ხელოვნური საციგურაო „ტიალფის" (ქართულად — „სწრაფი") რეკორდი დაამყარა — 15.15,09.

მსოფლიო ჩემპიონი მეორეა

ქრაისტჩერჩში დამთავრდა ახალი ზელანდიის I ეროვნული თამაშები.

მძლეოსანთა შეჯიბრებაში საბჭოთა სპორტსმენებმა ახალი გამარჯვებები მოიპოვეს: მეორე ოქროს მედალი მოიგო ფ. მელნიკმა, ამჯერად — ბირთვის კვრაში (18,03 მ), ხუთჭიდში საუკეთესო იყო ნ. ტკაჩენკო (4425 ქულა), ხოლო 200 მეტრზე რბენაში — ვ. ბორზოვი (21,02).

გაგაცნობთ ზოგიერთ სხვა შედეგს. 400 მეტრზე რბენაში გაიმარჯვა კენიელმა ს. ჩეპვონიმ — 45,34. მისი თანამემამულე ფ. კიმაიო პირველი იყო 110 მეტრზე თარჯრბენში — 13,85. 800 მეტრზე რბენაში გაიმარჯვა ტანზანიელმა ფ. ბეიიმ — 1.45,5. 5000 მეტრზე რბენაში ყველას აჯობა ახალზელანდიელმა დ. კვეკსმა — 13.34,6, 3000 მეტრზე დაბრკოლებებით რბენაში კი — ინგლისელმა ჯ. დევისმა — 8.26,8. 400 მეტრზე თარჯრბენში გაიმარჯვა ამერიკელმა ჯ. კინგმა — 50,35. ბადრო ყველაზე შორს ტყორცნა ფინელმა პ. კაჰმამ — 60,40 მ.

200 მეტრზე ქალთა რბენა მოიგო ავსტრალიელმა დ. რობერტსონმა — 23,33, 400 მეტრზე კი — ამერიკელმა რ. კემბელმა — 53,60. 3000 მეტრი ყველაზე სწრაფად გაირბინა ავსტრალიელმა ა. კუკმა — 9.14,4. შუბის ტყორცნაში უძლიერესი იყო ამერიკელი ლ. კენონი — 55,70 მ.

ორი ოქროს მედალი მოიხვეჭა ავსტრალიელმა მოცურავემ სონია გრეიმ. მან მოიგო 100 და 200 მეტრზე თავისუფალი სტილით შეჯიბრება — 58,20 და 2.03,70. 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში გაიმარჯვა კანადელმა ბ. სმითმა — 2.23,23. მისი თანამემამულენი უ. კუკი პირველი იყო 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში — 1.05,39, ხოლო უ. კირკი — 200 მეტრზე ბატერფლაით — 2.17,0. 400 მეტრზე კომპლექსურ შეჯიბრებაში საუკეთესო იყო ავსტრალიელი ჯ. ტარელი — 5.02,02. ამ სახეობაში ვაჟთა შორის გაიმარჯვა მასპინძელთა წარმომადგენელმა ბ. ტრეფერსმა — 4.37,07. 100 მეტრზე ბრასით ცურვაში I ადგილი დაიკავა ოლიმპიურმა ჩემპიონმა, იაპონელმა ნ. ტაგუჩიმ — 1.06,48. საბჭოთა მოცურავე ნ. პანკინი მეორე იყო — 1.06,59. 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში გაიმარჯვა ბ. ჰარდკასტლმა — 2.07,27. მისი თანამემამულე ჟ. კაუნი პირველი იყო 100 მეტრზე თავისუფალი სტილით შეჯიბრებაში — 52,98. კიდევ ერთმა ამერიკელმა მოიგო ოქროს მედალი 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში. ეს იყო რ. ბეკხაუზი — 58,48. ამ სახეობაში მეორე აღმოჩნდა საბჭოთა სპორტსმენი ვ. შარიგინი — 58,68.

წყალბურთელთა ტურნირის ერთ-ერთ ცენტრალურ შეხვედრაში საბჭოთა სპორტსმენებმა დაამარცხეს ამერიკელები — 7:6. თავის მხრივ ამერიკელებმა მოუგეს იუგოსლავიელებს — 11:10. იუგოსლავიელებმა დაამარცხეს ავსტრალიელები — 7:5, ამ უკანასკნელებმა კი ინგლისელებს აჯობეს — 6:2. საბჭოთა ნაკრებმა წააგო მატჩი იუგოსლავიელებთან (4:5), მაგრამ ბურთების უკეთესი ბალანსის წყალობით I ადგილი მოიპოვა. სსრ კავშირისა და იუგოსლავიის გუნდებმა 8-8 ქულა დააგროვეს. III ადგილზეა აშშ-ს ნაკრები — 7 ქულა.

მოულოდნელი შედეგით დამთავრდა კოშკიდან წყალში მხტომელ ქალთა შეჯიბრება: მსოფლიო ჩემპიონმა უ. კნაპემ (შვეცია) პირველობა დათმო — 406,95 ქულა. გაიმარჯვა ამერიკელმა ჯ. ელიმ — 407,61 ქულა.

იაპონელმა ძალოსანმა ი. ონომ გაიმარჯვა მსუბუქი წონის ათლეტთა შეჯიბრებაში — 292,5 კგ (130+162,5). ზემძიმე წონაში ბადალი არ ჰყავდა ვ. ალექსეევს (შახტი) — 395 კგ (170+225).

კალათბურთელ ვაჟთა ტურნირში ფილიპინელებმა დაამარცხეს ავსტრალიელები — 89:87, ხოლო მასპინძლებმა მოუგეს ტაიტელებს — 111:30.

მოკლედ

● **კაირო.** წარსულში ცნობილი უნგრელი ფეხბურთელი ჰიდეგკუტი დაინიშნა ეგვიპტის უძლიერეს კლუბ „ნასიონალის" (კაირო) მწვრთნელად.

● **ოსლო.** ნორვეგიის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს II ლიგის კლუბ „ლილესტრიომის" თავდამსხმელი ლუნდი.

● **ჰელსინკი.** ფინეთის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებულია ტოლსა, რომელიც ბელგიის „ბეერსკოტში" გამოდის.

● **ვენა.** ავსტრიის მრავალგზის ჩემპიონის „აუსტრიის" (ვენა) მწვრთნელად დაინიშნა არჰაუერი, რომელიც უწინ ამ ქვეყნის ნაკრების ხელმძღვანელი იყო.

● **ბრიუსელი.** ბელგიის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებულია ცნობილი თავდამსხმელი ვან ჰიმსტი. მას ეროვნულ ნაკრებში 81 მატჩი აქვს ჩატარებული.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 03545